საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე – კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ბ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 02.06.2023

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: - №052/23

საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ ნ. გ.-ის /სიითი№/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2023 წლის 02 ივნისს საჩივრით მომართა ბ. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის 2023 წლის 07 და 20 ვლისის დისციპლინურ სხდომებში.

1.2 საჩივრის ავტორს პრეტენზია აქვს ადვოკატ ნინო გელაშვილთან და ითხოვს მის დისციპლინირებას. საჩივრის თანახმად, მომჩივანის მისამართით განხორციელებული თაღლითური ქმედების ფაქტზე 2012 წლის 21 აგვისტოს დაიწყო გამოძიება და საჩივრის ავტორმა, ფაქტზე დაწყებული მოკვლევის კანონიერებისა და გამოძიების ეფექტიანად მიმდინარეობის კონტროლის მიზნით, საკუთარი ინტერესების დასაცავად, გადაწყვიტა

ადვოკატის აყვანა. აღნიშნული მიზნით 2017 წლის 03 აპრილს შეხვდა ნ. გ.-ს. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმეზე ინფორმაციის მისაღებად ის ადვოკატთან ერთად მივიდა საგამოძიებლო ორგანოში, ხოლო მას შემდეგ, რაც ადვოკატმა, ნ. გ.-მა ვერ მოახერხა გამომძიებელთან შეხვედრა, მომჩივანმა განუმარტა, რომ არ სურდა მისგან საადვოკატო მომსახურეობის მიღება და შესაბამისად მათ შორის არ წარმოშობილა კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ადვოკატისთვის არ მიუცია მინდობილობა და ადვოკატს მასთან შეთანხმებით არ შეუდგენია ორდერი.

1.3 საჩივრის თანახმად, ადვოკატმა ნ. გ.-მა, ბ. ბ.-ისგან ფარულად, მისი ნების საწინააღმდეგოდ შეადგინა ორდერი და მომჩივანის სახელით, მისგან ფარულად, სისხლის სამართლის საქმეზე წარადგინა რამდენიმე განცხადება, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურორის 2017 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმის შეწყვეტაზე, რომელიც მომჩივანს 2022 წლის 04 თებერვალს ჩაჰბარდა. მომჩივანის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატმა ორდერის მოქმედების ვადაში ჩაიბარა, თუმცა, ამის შესახებ მას მიზანმიმართულად არ აცნობა და გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა დადგენილ ვადაში, რამაც გამოწვია მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა.

1.4 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა თავდაპირველად მისი სახელით, მისგან ფარულად, სისხლის სამრთლის საქმეს დაურთო 2017 წლის 14 მარტის N ორდერი, რომელიც გაცემული იყო 2018 წლის 14 მარტამდე, ხოლო 2017 წლის 31 მარტს საგამოძიებლო ორგანოში წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის განჩინება და განმარტა, რომ განჩინება, ორგანოს დაეხმარეობოდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატის ქცევა არ შეესაბამება ადვოკატის პროფესიულ ეთიკას, და ითხოვს მოპასუხე ადვოკატის, ნ. გ.-ის დისციპლინირებას.

1.5 საჩივრის ავტორმა 2023 წლის 07 ვლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე იშუამდგომალა მოწმის სახით, ადვოკატ ემზარ საბანაძის და ადვოკატ მ. ც.-ის დაკითხვა. საპროცესო კოლეგიამ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა და ბ. ბ.-ს დაევალა დისციპლინურ წარმოებაში მოწმეთა ჩართვა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ნ. გ.-ს 2023 წლის 05 ივნისს გაეგზავნა საჩივარი. მოპასუხე ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ვლისის, საპროცესო კოლეგიის სხდომაში. მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, საჩივარიში მითითებული სადავო ქმედებიდან, გასულია ეთიკის კომისიისთვის მომართვისთის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა და საჩივარზე წარმოება უნდა შეწყდეს. ამასთან ადვოკატმა განმარტა რომ საჩივარი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

2.2 ნ. გ.-მა უარყო საჩივარში დაფიქსირებული პრეტენზიები და განმარტა, რომ მან სისხლის სამრთლის საქმეზე, ორდერი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის გადნჩინება, კლიენტთან შეთანხმებით წარადგინა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს

2017 წლის 16 თებერვლის განჩინება, მას თავად ბ. ბ.-მა გადასცა. ადვოკატის განმარტებით, ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ მისი კლიენტის ნების გარეშე, თბილისის საქალაქო სასმართლოს განჩინებას ვერ მოიპოვებდა, რადგან საქმეში არ იყო ჩართული როგორც მხარე და მის სახელზე გაცემული არ იყო მინდობილობა, რომლითაც შეძლებდა განჩინების სასამართლოდან დამოუკებლად გამოთხოვას. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი:

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - სისხლი.

3.2 ბ. ბ.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 02 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წლის 14 მარტამდე. ნ. გ.-მა, ბ. ბ.-ის სახელით, 2017 წლის 14 მარტსს, სისხლის სამრთლის საქმეს დაურთო 2017 წლის 14 მარტის დაცვის ორდერი, რომელიც გაცემული იყო 2018 წლის 14 მარტამდე, ხოლო 2017 წლის 31 მარტს საგამოძიებლო ორგანოში წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის განჩინება. ,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 №2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 №2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, 2018 წლის 14 მარტის ჩათვლით, საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიისთვის მომართვამდე, გასულია დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

4.1 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 №2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი.

5.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიით ნ. გ.-ის მიერ პროფესიულ ეთიკასთან შეუსაბამო ქმედებები განხორციელებულია 2017 წელს. საჩივრის თანახმად, ადვოკატმა ნ. გ.-მა, ბ. ბ.-ის სახელით, მისგან ფარულად, ისე რომ მათ შორის არ წარმოშობილა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, 2017 წლის 14 მარტს, სისხლის სამრთლის საქმეს დაურთო 2017 წლის 14 მარტის N ორდერი, ხოლო 2017 წლის 31 მარტს საგამოძიებო ორგანოში წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017

წლის 16 თებერვლის განჩინება და განმარტა, რომ განჩინება, ორგანოს დაეხმარეობოდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე, მომჩივანის პრეტენზიით, ადვოკატმა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურორის 2017 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმის შეწყვეტაზე, ჩაიბარა ორდერის მოქმედების ვადაში - 2018 წლის 14 მარტამდე, თუმცა ამის შესახებ მიზანმიმართულად არ აცნობა საჩივრის ავტორს და გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა დადგენილ ვადაში.

5.3 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ საჩივრით აღწერილი სადავო ქმედებები, ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ განხორციელებულია 2018 წლის 14 მარტამდე. საპროცესო კოლეგია აქვე განმარტავს, რომ ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ სადავო ქმედებების 2018 წლის 14 მარტამდე განხორციელების ფაქტი დგინდება თავად მხარეთა წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარებებიდან და საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ არ შეაფასა დისციპლინური საქმის წარმოებისას გამოკითხული მოწმეების ჩვენებები, რომლებმაც საპროცესო კოლეგიას განმარტებები, საქმის არსებითი საკითხების ირგვლივ მისცეს.

5.4 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ სადავო ქმედების ჩადენიდან ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

5.5 ვინაიდან, საჩივრით აღწერილი სადავო ქმედებები, ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ განხორციელებულია 2018 წლის 14 მარტამდე, ხოლო ბ. ბ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 02 ივნისს, ხოლო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 №2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, გასულია დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი, ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.6 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 №2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით, 20-ე მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 27-ე, 31-ე მუხლებითა და მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №052/23 ადვოკატ ნ. გ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმის შეწყვეტის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/